თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №2ბ/4608-15 **21 იანვარი, 2016 წელი**

სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე, მომხსენებელი - ქეთევან მესხიშვილი
მოსამართლეები - ნატალია ნაზღაიძე, გოდერძი გიორგიშვილი

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე

კერძო საჩივრის ავტორი - ფ. ნ.

წარმომადგენელი - გ. გ.

გასაჩივრებული განჩინება - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 18 სექტემბრის განჩინება შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა - გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების დასაბუთება

პალატა გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა კერძო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო საჩივრის) ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული

გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და/ან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 18 სექტემბრის განჩინებით ფ. ნ.-ს წარმომადგენელს უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე (ს.ფ. 420-424). პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის მიერ შეგებებული სარჩელი დაგვიანებით იქნა წარდგენილი, მთავარი სხდომის ეტაპზე და მასში შეგებებული სარჩელის დაგვიანებით წარმოდგენის საპატიო მიზეზი მითითებული არ არის და არც შესაბამისი მტკიცებულებაა აღნიშნულზე წარმოდგენილი. გარდა ამისა, სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელზე გადახდილი ბაჟი - 100 ლარი საკმარისი არ არის და სახელმწიფო ბაჟი გადახდილ უნდა იქნეს დავის საგნის ღირებულების 3%-ის ოდენობით, ვინაიდან დავის საგანს გარიგების ბათილად ცნობა წარმოადგენს, რომლის იურიდიული ინტერესიც ამ გარიგებით დადგენილი თანხის გადახდისაგან გათავისუფლებაში მდგომარეობს.

აღნიშნულ განჩინებაზე 2015 წლის 29 სექტემბერს ფ. ნ.-ს წარმომადგენელმა, გ. გ.-მ კერძო საჩივარი წარადგინა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა (ს.ფ. 435-436).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოპასუხეს უფლება აქვს მისთვის **სარჩელის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე** აღძრას მოსარჩელის მიმართ შეგებებული სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ ვადის გაშვების შემდეგ მოპასუხეს შეუძლია აღძრას შეგებებული სარჩელი სასამართლო პაექრობის დაწყებამდე, თუ საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე შეგებებული სარჩელის წარდგენა ვერ მოხდა საპატიო მიზეზით. საპატიო მიზეზად ჩაითვლება ამ კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული გარემოებები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 189-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოსამართლე მიიღებს შეგებებულ სარჩელს, თუ: ა) შეგებებული სარჩელის მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მოთხოვნის ჩასათვლელად; ბ) შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას; გ) შეგებებულ სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის არის ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვის შედეგად აღძრული დავა უფრო სწრაფად და სწორად გადაწყდება.

პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუ როდის, კერძოდ, სამართალწარმოების რომელ ეტაპზე იქნა ფ. ნ.-ს შეგებებული სარჩელი წარდგენილი.

ამ მხრივ, პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებებს: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 17 მარტის განჩინებით მოსამზადებელი სხდომა 2014 წლის 22 მაისს 11:00 საათზე დაინიშნა (ს.ფ. 124-125);

აღნიშნული სხდომა არ ჩატარდა, რადგან საქმე უზრუნველყოფის ღონისძიებაზე წარდგენილი საჩივრის განხილვის გამო 2014 წლის 11 აპრილიდან 2014 წლის 25 ივნისამდე პერიოდში თბილისის სააპელაციო სასამართლოს განხილვაში იყო (ს.ფ.186; 197);

საქმეზე სხდომა 2014 წლის 30 ოქტომბერს გაიმართა და ისევ მოსამაზადებელ ეტაპზე, 2014 წლის 2 დეკემბერს 14:00 საათზე გადაიდო (ს.ფ. 202-204);

მოსამართლე დიანა ბერეკაშვილის სემინარზე ყოფნის გამო წარმოდგენილ საქმეზე სარჩელის განხილვა 2014 წლის 16 დეკემბერს გადაიდო (ს.ფ. 234);

2014 წლის 16 დეკემბრის სხდომა 2014 წლის 23 დეკემბერს მოსამზადებელ ეტაპზე გადაიდო (ს.ფ. 250-253);

2014 წლი 23 დეკემბერს სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა დასრულებულად გამოცხადდა. სასამართლოს მთავარი სხდომა 2015 წლის 15 იანვარს 13:30 საათზე დაინიშნა (ს.ფ. 261-275);

2015 წლის 15 იანვარს მთავარი სხდომა 2015 წლის 12 მარტს 13:30 საათზე გადაიდო (ს.ფ. 289-292);

2015 წლის 12 მარტის სხდომაზე კალიგრაფიული ექსპერტიზა დაინიშნა (ს.ფ. 298-302);

2015 წლის 23 ივლისს სასამართლო სხდომა გ. გ.-ს შუამდგომლობით, **მოსამზადებელ ეტაპზე 2015 წლის 17 სექტემბერს გადაიდო** (ს.ფ. 314-316),

საქმის მასალებით დგინდება, რომ ფ. ნ.-ს **შეგებებული სარჩელი წარდგენილ იქნა 2015 წლის 14 სექტემბერს** (ს.ფ. 329-344).

სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მასზედ, რომ სხდომის ოქმის ფიქსაციის ტექნიკური სისტემის ჩანაწერის მიხედვით, 2015 წლის 23 ივლისს მითითებულია, რომ ტარდება მოსამზადებელი სხდომის ოქმი. პალატა თვლის, რომ აღნიშნული მითითება ფიქსაციის ტექნიკური სისტემით განხორციელებულ ჩანაწერში კიდეც, რომ ტექნიკურ შეცდომად იქნეს მიჩნეული, სასამართლო სხდომაზე ფ. ნ.-ს წარმომადგენელმა, გ. გ.-მ სხდომის მოსამზადებელ ეტაპზე გადადება იშუამდგომლა, რაც დაკმაყოფილდა და შესაბამისად, **მხარეს სასამართლოსაგან შეექმნა ლოგიკური მოლოდინი იმისა, რომ მას იმ საპროცესო მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობა მიეცემოდა, რისი უფლებაც მას მოსამზადებელ სხდომაზე ჰქონდა.**

ამგვარ ლეგიტიმურ მოლოდინს, რაღა თქმა უნდა, სასმართლოს მართლზომიერი, კანონშესაბამისი მოქმედება **ქმნის, რასაც მოცემულ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა.** სასამართლოს უფლება აქვს სხდომა სამართალწარმოების იმ ეტაპიდან გადადოს, რომელსაც იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს. მითითებული დანაწესი განმტკიცებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლში, რომლის პირველი ნაწილის მიხედვითაც, საქმის განხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გონივრული ვადით. თუ საქმის სრულყოფილად გამოკვლევა და დამთავრება შეუძლებელია იმავე სხდომაზე, საქმის განხილვა მისი გადადების შემთხვევაში გრძელდება იმ სტადიიდან, რომელზედაც იგი გადაიდო. **სასამართლო აგრეთვე უფლებამოსილია, საქმის განხილვა გააგრძელოს იმ სტადიიდან, რომელსაც მიზანშეწონილად მიიჩნევს. მხარეები ვალდებულნი არიან, ხელი შეუწყონ სასამართლოში საქმის დადგენილ ვადაში განხილვას.** ამავე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს, რომ სასამართლო საქმის განხილვის გადადებისას დანიშნავს ახალი სასამართლო სხდომის დღეს და ამის შესახებ აცნობებს სასამართლო პროცესზე გამოცხადებულ პირებს, რასაც ისინი ადასტურებენ ხელის მოწერით. გამოუცხადებელ და საქმეში ახალჩაბმულ

პირებს ახალი სასამართლო სხდომის დღე ეცნობებათ ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის მიხედვით, სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს.

პალატა განმარტავს, რომ სასამართლო მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის პერსპექტივის გათვალისწინებით, აღიარებით სარჩელს წარმოებაში არ იღებს. აღიარებითი სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობა დასაბუთებული იურიდიული ინტერესის არსებობაა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ **აღიარებით სარჩელს სასამართლო წარმოებაში არ მიიღებს, თუ ამავე მოთხოვნაზე შესაძლებელია მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრა.**

ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ თუ მხარე სარჩელში დაასაბუთებს წარმოდგენილი აღიარებითი სარჩელის ისეთ იურიდიულ ინტერესს, რომელიც მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრას გამორიცხავს და სასამართლო აღიარებითი სარჩელის მიმართ, ყოველგვარი მიკუთვნებითი მოთხოვნის გარეშე, მხარის იურიდიულ ინტერესს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, ასეთ შემთხვევაში, სახელწმიფო ბაჟის გადახდევინება მითითებულ აღირებით სარჩელზე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისდ უნდა განისაზღვროს და იგი დავის საგნის ღირებულებიდან არ უნდა დაანგარიშდეს.

პალატა ასევე განმარტავს, რომ სარჩელის დასაშვებად მიჩნევის მიზნებისათვის ნიშანდობლივია იმ საკითხზე ყურადღების გამახვილება, თუ რაოდენ დიდი კავშირია სარჩელსა და შეგებებულ სარჩელს შორის, კერძოდ, შეგებებული სარჩელის მოთხოვნა მიმართულია თუ არა პირვანდელი მოთხოვნის ჩასათვლელად და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს თუ არა პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, რაც კუმულაციურად შესაფასებელია სარჩელისა და შეგებებული სარჩელის ურთიერთმიმართების მსჯელობის კონტექსტში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ ფ. ნ.-ს კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 18 სექტემბრის განჩინება შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ და საქმე შეგებებული სარჩელის დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე, 291-ე, 215-ე, 241-ე, 278-ე, 390-ე, 393-ე, 394-ე, 414-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. ფ. ნ.-ს წარმომადგენლის, გ. გ.-ს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 18 სექტემბრის განჩინება შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ;

3. საქმე ფ. ნ.-ს შეგებებული სარჩელის დასაშვებობის შესამოწმებლად ხელახლა განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს იმავე კოლეგიას დაუბრუნდეს;

4. განჩინება არ საჩივრდება.

თავმჯდომარე **ქეთევან მესხიშვილი**

მოსამართლეები **ნატალია ნაზღაიძე**

გოდერძი გიორგიშვილი